

სამოქალაქო საპროცესო სამართალში დაუსწრებელი გადაწყვეტილების
გამოტანისას არსებული თავისებურებები

მარიამ ჩახვაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ჩახვაშვილი

28.06.2019 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას არსებული პრობლემური საკითხების ნათლად გამოკვეთა. ეს ამოცანა დაგვეხმარება ამ მიმართულებით არსებული პრობლემატიკის გაანალიზებასა და მათი გადაჭრის გზების ძიებაში.

მხარეები ისწრაფვიან თავიანთი უფლება-მოვალეობების დასაცავად და მოლოდინი აქვთ სწრაფი, ეფექტური მართლმსაჯულების, რაც უნდა უზრუნველყოს სასამართლომ. ადამიანებმა უნდა იცოდნენ შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს მათ არასწორ ქმედებებს. ნაშრომი იწყება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მნიშვნელობაზე საუბრით, განვიხილავთ მისი გამოტანის საფუძველს და ძირითადი მიზანს.

შემდგომ ნაწილში უკვე ვიმსჯელებთ უშუალოდ ამ ინსტიტუტის შინაარსობრივ მახასიათებლებზე. ყურადღებას გავამახვილებთ ყველა იმ შემთხვევაზე, რომელიც აღნიშნული პროცედურის ამოქმედების მთავარი წინაპირობაა. გავარკვევთ თითოეულ შემთხვევაში რა სახის პრობლემებს ვაწყდებით. დაკონკრეტებისათვის მაგალითებს წარმოვადგენთ კანონმდებლობიდან და სხვადასხვა სასამართლოს გადაწყვეტილებების პრაქტიკიდან.

კანონმდებლობის ანალიზის პარალელურად ყურადღებას გავამახვილებთ საერთაშორისო გამოცდილებაზე. ამ შემთხვევაში ჩვენი ამოცანა იმის გარკვევა იქნება, თუ როგორ უმკლავდებიან სხვა ქვეყნის კანონმდებლობები დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას არსებულ პრობლემებს და როგორ შეუძლიათ ერთმანეთის დახმარება გარკვეულ საკითხებში.

შემდეგი ეტაპი საქართველოს და უცხო ქვეყნების პრაქტიკათა შედარებითი ანალიზი იქნება. მას კვლევის შინაარსში საკვანძო მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან გვეხმარება რეკომენდაციის შემუშავებაში.

საკვანძო სიტყვები: დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სასამართლო პრაქტიკა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

Abstract

The goal of the presented research is to determine the main dilemmas which appear during a default judgment. It is going to help us analyze the common problems of a trial of absentia and find solutions to them.

The parties of the dispute hope to protect their rights and have reasonable expectation from the courts that they shall render speedy and effective justice. Parties should also acknowledge the results of any unreasonable actions.

The represented work starts with reviewing the meaning of a default judgment. First, we discuss the basis for the adoption of the judgment and main resolutions. Next, we discuss the institution itself and emphasize each occasion which comprises the main motivation of the mentioned procedure. We endeavor to determine the main problems that appear during each case. For specific and concrete results, examples will be presented from the legislation and different judicial decisions put into practice. While analyzing the legislation, we are simultaneously going to emphasize the related issues and outcomes experienced internationally. In this case, the motivation will be to determine methods of resolving the issues of trials of absentia in a way that can be applied on a global scale.

The next step is going to be the comparative analysis of Georgian and foreign practices that will be crucial to helping us determine our recommendations.

Key Words: Trial in Absentia, Court practice, Code of Civil Procedure